

შპს ბელ მეზონ

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1. სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
2. მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს	Error! Bookmark not defined.
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. ფინანსური ინსტრუმენტები	7
4. შენიშვნა #4 - ძირითადი საშუალებები.....	13
5. შენიშვნა #5 - არამატერიალური აქტივები	14
6. შენიშვნა #6 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	14
7. შენიშვნა #7 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14
8. შენიშვნა #8 - მარაგები	15
9. შენიშვნა #9 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	15
10. შენიშვნა #10 - საგადასახადო აქტივი.....	15
11. შენიშვნა #11 - სესხები.....	15
12. შენიშვნა #12 - ამონაგები.....	16
13. შენიშვნა #13 - თვითღირებულება.....	16
14. შენიშვნა #14 - მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	16
15. შენიშვნა #15 - სხვა ხარჯები	16
16. შენიშვნა #16 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17
17. შენიშვნა #17 - ფინანსური ხარჯი.....	17
18. პირობითი ვალდებულება	17
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	17

შპს ბელ მეჰონ

1. სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
(ლარში)			
	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	7,472,356	6,523,948
არამატერიალური აქტივები	5	9,958	11,687
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,482,314	6,535,635
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	147,734	617,994
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,279,554	556,572
მარაგები	8	9,599,206	6,315,180
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10	1,197,464	664,324
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯი		250	5,686
გაცემული სესხები			-
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,224,208	8,159,756
სულ აქტივები		19,706,522	14,695,391
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	14,840
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,513,158	1,438,464
გადაფასების რეზერვი			-
სულ კაპიტალი		2,513,158	1,453,304
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	6,639,199	7,866,386
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,639,199	7,866,386
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		163,702	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	10,265,410	5,211,037
საგადასახადო ვალდებულებები		125,053	164,664
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		10,554,165	5,375,701
სულ ვალდებულებები		17,193,364	13,242,088
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,706,522	14,695,391

დირექტორი: გიორგი მედულაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ლელა ხარჩილაძე

გ. მედულაშვილი



ლ. ხარჩილაძე

2. მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)			
	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	12	9,400,665	12,543,286
თვითღირებულება	13	(5,595,565)	(8,124,588)
საერთო მოგება		3,805,100	4,418,698
სხვა შემოსავლები		261,211	271,475
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,723,328)	(1,883,860)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(1,408,820)	(872,956)
სხვა ხარჯები	15	(130,391)	(61,020)
საოპერაციო მოგება		803,772	1,872,337
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	17	(570,602)	(393,106)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		1,146,830	(1,748,362)
მოგება დაბეგრამდე		1,380,000	(269,131)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,380,000	(269,131)
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		1,380,000	(269,131)

დირექტორი: გიორგი მედულაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ლელა ხარჩილავა

გ. მედულაშვილი

ლ. ხარჩილავა



3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება				
(ლარში)				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	579,455	-	1,438,464.00	1,453,304
წმინდა მოგება	-	-	1,380,000	1,380,000
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,380,000	1,380,000
გაცემული დივიდენდი	-	-	(305,306)	(305,306)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(564,615)	-		(14,840)
2021 წლის 31 დეკემბერი	14,840	-	2,513,158	2,513,158

დირექტორი: გიორგი მედულაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ლელა ხარჩილავა



Handwritten signature of Lela Kharchilava.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს ბელ მეზონ (შემდეგში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 401950965. 2019 წლის 17 ივლისს კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება და შპს დეკორუმი გახდა შპს ბელ მეზონი.

კომპანია სახლის მოწყობისათვის საჭირო პროდუქციის სრული ასორტიმენტით ვაჭრობს. შპს ბელ მეზონი საქართველოს ბაზარზე 40-მდე ევროპულ, მაღალი კატეგორიის ბრენდს წარმოადგენს. ჩვენს მიერ იმპორტირებულ საქონელში შედის: ავეჯი, განათება, სამზარეულოები, კერამიკული ფილა, შპალერი, სანტექნიკა და აქსესუარები. იმპორტი ძირითადად ხორციელდება იტალიიდან და გერმანიიდან. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა ერთი შოურუმი აკაკი ბელიაშვილის №86-ში, სამი საწყობი თბილისში გურამიშვილის ქ. 64.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, №86.

„კომპანიის“ დამფუძნებლები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად:

- გიორგი მედულაშვილი 01018000196 - 50%
- დავით მედულაშვილი 10CC21351 01018001951 - 50%

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობების საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

მსს ფასს სტანდარტების პირველად შემოღება, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა ეხება წარდგენილ წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

3. ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვანოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების

რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიგვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წვევს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	50 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი
სისტემები კომუნიკაციები	15 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საღირცხოვო პროგრამები არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით,

გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იზეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღე-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღე-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

iii) საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური

ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

2021 წლის საანგარიშო პერიოდში „კომპანიას“ ანარიცხების აღიარების ვალდებულება არ ჰქონია.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს.

• სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

4. შენიშვნა #4 - ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	ნაგებობები სისტემები კომუნიკაციები	მანქანა- დანადგარ ები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპ. ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	მიწა	ჯამი
ლარში								
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	4,677,313	317,337	9,765	46,606	400,724	123,929	1,406,909	6,982,583
შესყიდვა	1,078,404			2,273		30,195	25,414	1,136,286
გასვლა	-	-	5,171	37,419	23,775	110,057		176,422
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	5,755,717	317,337	9,765	48,879	400,724	154,124	1,432,323	8,118,869
დაგროვილი ცვეთა								
2020 წ. ბოლოს მდგომარეობით	219,413	50,139	4,551	18,887	115,348	50,298	-	458,636
ცვეთის ხარჯი	93,546	22,210	1,405	6,352	32,651	21,017		177,181
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			4,985	31,884	17,217	57,687		111,772
2021 წ. ბოლოს მდგომარეობით	312,959	71,842	5,956	25,352	151,779	78,625	-	646,513
საბალანსო ღირებულება								
2020 წლის ბოლოს	4,457,900	267,198	5,214	27,719	285,376	73,631	1,406,909	6,523,947
2021 წლის ბოლოს	5,442,758	245,495	3,809	23,527	248,945	75,499	1,432,323	7,472,356

კომპანიის უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობით დატვირთულია იპოთეკით ბანკის სესხის უზრუნველყოფის ნაწილში.

5. შენიშვნა #5 - არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები					
ლარი	პროგრამები		ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2020 წლის ბოლოს	20,746				20,746
შემოსავლა	-				-
გასვლა	-				-
2021 წლის ბოლოს	20,746		-	-	20,746
	პროგრამები		ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია					
2020 წლის ბოლოს	9,059				9,059
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	1,729				1,729
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-				-
2021 წლის ბოლოს	10,788		-	-	10,788
	პროგრამები		ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო ღირებულება					
2020 წლის ბოლოს	11,687		-	-	11,687
2021 წლის ბოლოს	9,958		-	-	9,958

6. შენიშვნა #6 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		
ლარში		31-12-2021
ფული სალაროში		6,404
ფული საბანკო ანგარიშებზე		141,330
		147,734

7. შენიშვნა #7 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
		31-12-2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები		214,451
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		1,065,103
სხვა მოთხოვნები		
		1,279,554

8.შენიშვნა #8 - მარაგები

მარაგები		
ლარში		31-12-2021
მზა პროდუქცია		-
ნედლეული		-
დაუმთავრებელი წარმოება		-
საქონელი		9,599,206
სხვა მარაგები		-
		9,599,206

9.შენიშვნა #9 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
ლარში		31-12-2021
სავაჭრო ვალდებულებები		2,511,908
მიღებული ავანსები		7,753,377
გადასახდელი ხელფასები		125
გადასახდელი პროცენტები		-
საგადასახადო ვალდებულებები		125,052
სხვა ვალდებულებები		-
		10,390,462

10.შენიშვნა #10 - საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი		
ლარში		31-12-2021
მიღებული ავანსებიდან გადახდილი დღგ		1,197,463

11.შენიშვნა #11 - სესხები

სესხები		
		გრძელვადიანი
ლარში		31-12-2021
ბანკის სესხები		6,639,199
დაკავშირებული მხარეების სესხები		0
ოვერდრაფტები		163,702
სულ სესხები		6,802,901

12. შენიშვნა #12 - ამონაგები

ამონაგები		
ლარი		31-12-2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		9,400,665
		-
		9,400,665

13. შენიშვნა #13 - თვითღირებულება

თვითღირებულება		
ლარი		31-12-2021
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		5,595,565
	-	-
	5,595,565	7,940,694

14. შენიშვნა #14 - მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		
		31-12-2021
სარეკლამო ხარჯები		162,238
საწყოების იჯარის და შენახვის ხარჯი		66,368
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი		310,499
მიწოდების სხვა ხარჯები		869,715
		1,408,820

15. შენიშვნა #15 - სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები		
ლარი		31-12-2021
დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი		
ქონების გადასახადი		57,646
მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		72,745
		130,391

16.შენიშვნა #16 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		
ლარი		31-12-2021
შრომის ანაზღაურება		1,194,173
ცვეთა და ამორტიზაცია		189,606
დაზღვევის ხარჯი		17,464
საპენსიო ხარჯი		35,890
კომუნიკაციის ხარჯები		13,797
კომუნალური ხარჯი		61,653
წარმომადგენლობითი ხარჯები		1,389
მივლინების ხარჯები		-
საკონსულტაციო ხარჯი		77,387
რემონტის მიმდინარე ხარჯი		51,194
ბანკის მომსახურება		36,810
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი		43,965
		1,723,328

17.შენიშვნა #17 - ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი		
ლარი		31-12-21
ბანკის სესხის პროცენტი		570,602
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი		-
სხვა ფინანსური ხარჯები		-
		570,602

18.პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

19.საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია;